ამინ ნაგელიანი, ირმა გრძელიძე

ტუშას უნივერსიტეტი, იტალია

,,საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, ვიმყოფებოდით ტუშას უნივერსიტეტში, იტალიაში. კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლობით - პერსონალის საერთაშორისო კვირეულზე მიღებული გამოცდილება მართლაც შესანიშნავი იყო. ვიზიტის ფარგლებში, გაძლიერდა ტუშას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შემდგომი შესაძლებლობები და გაჩნდა სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან ახალი თანამშრომლობის ინიციატივები.

გვქონდა პატივი, გვეკონტაქტა კოლეგებთან ევროპული უნივერსიტეტებიდან, ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა ინოვაციური პრაქტიკა და გვესაუბრა სხვადასხვა გამოყენებით სწავლების მეთოდოლოგიაზე. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, საერთაშორისო აუდიტორიას წარვუდგინეთ პრეზენტაცია კავკასიის უნივერსიტეტზე, რომელშიც კარგად ჩანდა ჩვენი უნივერსიტეტის პრიორიტეტები, ღირებულებები და სტრატეგიები.

პერსონალის საერთაშორისო კვირეულის პროგრამა მდიდარი იყო შინაარსიანი სესიებით: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესახებ დისკუსიებიდან დაწყებული კულტურული ინკლუზიურობისა და მდგრადობის სემინარებამდე. ყოველი მომენტი იყო შესაძლებლობა გვესწავლა ახალი, გაგვეზარდა ჩვენი პროფესიული კომპეტენციები და გაგვეფართოებინა ჩვენი პერსპექტივები.

ტუშას კვირეული ნამდვილად დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო.’’